

ვებ პროგრამირება - PHP

სასწავლო კურსის დასახელება და კოდი	ვებ პროგრამირება PHP	
------------------------------------	----------------------	--

სასწავლო კურსის სტატუსი	სასერტიფიკაციო კურსი
კრედიტების და საათების რაოდენობა	<p>საკონტაქტო საათები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლექცია 16 (2 საათი) • ონლაინ ტესტი • სულ საკონტაქტო საათი: <p>სულ დამოუკიდებელი სამუშაო საათი: 24</p> <p>საკონსულტაციო საათები: კვირაში 1 საათი ლექტორთან წინასწარი შეთანხმებით</p>
ლექტორი	<p>სოფო ქემაშვილი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: E-mail: piqasoo@gmail.com GitHub: https://github.com/piqasoo</p>
სასწავლო კურსის ფორმატი	ინტერაქტიული ლექცია, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, პრაქტიკული სამუშაო.
სასწავლო კურსის მიზანი	<p>PHP ვებ პროგრამირების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენაა. დღეს ინტერნეტში განთავსებული ვებგვერდების დიდი ნაწილი სწორედ ამ ენაზეა შექმნილი. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი facebook-იც ამ ენაზეა დაწერილი. PHP-ს დინამიური ვებგვერდების შესაქმნელად იყენებენ.</p> <p>დინამიურს ისეთ ვებგვერდს უწოდებენ, რომელიც ვებ სერვერზე სკრიპტების, შაბლონების, მონაცემთა ბაზაში განთავსებული ინფორმაციის სახით ინახება. ასეთი ვებგვერდი სერვერზე ცალკეული კომპონენტის სახით არის განთავსებული. ყოველი ახალი მომხმარებლისათვის სერვერი ხელახლა აწყობს ცალკეული კომპონენტებისაგან იმ ვებგვერდს, რომელსაც მომხმარებელი თავის ბრაუზერში ხედავს. მაგალითად, ახალი ამბების პორტალები, როგორც ნესი, დინამიური გვერდებია. პორტალის თანამშრომლები, ადმინისტრატორის პანელის საშუალებით მონაცემთა ბაზაში ათავსებენ ახალ-ახალ ინფორმაციას. ხოლო როდესაც მომხმარებელი ასეთ ვებგვერდს ხნის თავის ბრაუზერში, ვებ სერვერი ყოველი ახალი მომხმარებლისთვის ხელახლა აწყობს, ამენებს ვებგვერდს და მომხმარებლის ბრაუზერში აგზავნის მას.</p>

	<p>დინამიური ვებგვერდია facebook.com-იც. ამ სოციალური ქსელის ყველა მომხმარებელი ერთსა და იგივე ვებ მისამართზე შედის, მაგრამ თითოეული მომხმარებლის facebook გვერდი განსხვავებულია, ვინაიდან ამა თუ იმ მომხმარებლის პაროლისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შეყვანის შემდეგ ვებ სერვერი აწყობს და მომხმარებლის ბრაუზერს უგზავნის კონკრეტული მოხმარებელს გვერდს.</p> <p>ინტერნეტში უამრავი ღია რესურსია განთავსებული, რომელშიც დეტალურად არის განხილული PHP-ის ესა თუ ის ბრძანება ან PHP კოდის საშუალებით შექმნილი ფუნქცია. ასევე შესაძლებელია PHP კოდის „სნიპეტების“, კოდის ერთგვარი ნაგლეჯების მოძიება ინტერნეტში. PHP პროგრამისტები ხშირად იყენებენ გამზადებული კოდის ნაგლეჯებს, რომელთა საკუთარი საჭიროებისათვის მორგება, გადაკეთებაა შესაძლებელი.</p> <p>მიუხედავად სნიპეტების, ბიბლიოთეკების, ფრეიმვორკების (ყველა ეს სიტყვა გამზადებული კოდის პატარა ან ძალიან დიდ ნაწილებს გულისხმობს) არსებობისა PHP პროგრამისტს თავად უნევს კოდის დიდი ნაწილის დაწერა. რაც მას საშუალებას აძლევს ზედმინევენით ზუსტად, ოპტიმალურად გამოიყენოს PHP პროგრამული ენის შესაძლებლობები.</p> <p>კურსის განმავლობაში სტუდენტები ლექტორის მიერ მონოდეზულ სასწავლო მასალაზე დაყრდნობით თავად შექმნიან ვებგვერდებს. ისწავლიან როგორც უშუალოდ PHP პროგრამულ ენაზე წერას ასევე არსებული სნიპეტების, ფუნქციების, ბიბლიოთეკების, ფრეიმვორკების გამოყენებას და საკუთარ საჭიროებებზე მორგებას, გადაკეთებას.</p>
<p>სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები</p>	<p>შესავალი პროგრამირებაში</p>

<p>ფინალური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები</p> <p>შეფასებისას ყურადღება მიექცევა შემდეგ დეტალებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დავალების სწორი აღქმა 2. პუნქტუალურობა 3. კოდის წერის სისუფთავე
--

სწავლის შედეგი	კურსის გავლის შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ: <ul style="list-style-type: none"> ● PHP-ის პროგრამულ კოდთან მუშაობა ● PHP კოდის მოძიება და არსებული კოდის საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად გადაკეთება ● ინტერაქტიული დინამიური ვებგვერდების შექმნა PHP-ის გამოყენებით ● PHP კოდის მონაცემთა ბაზებთან ინტერაქცია ● საკუთარი კოდის შემოწმება და კოდში შეცდომების აღმოჩენა
-----------------------	---

#		სასწავლო კურსის შინაარსი
1	ლექცია 1 (2 საათი)	<p>php-ს მოკლე აღწერა რა არის php და როგორ მუშაობს როგორ დავაინსტალიროთ და გავუშვათ php კოდი</p> <p>php სამუშაო გარემოს მოკლე მიმოხილვა მონაცემთა ტიპები ცვლადი, ცვლადის ტიპები, მასივი მათთან მუშაობის თავისებურებები php-ში</p>
2	ლექცია 2 (2 საათი)	<p>php ენის სინტაქსის მიმოხილვა if, else if ოპერატორები while, for, foreach ციკლები</p> <p>ფუნქციები ფუნქციის შექმნა პარამეტრების გადაცემა ფუნქციის გამოძახება</p> <p>გლობალური და ლოკალური ცვლადები პარამეტრების სტანდარტული მნიშვნელობები</p>
3	ლექცია 3 (2 საათი)	<p>ფორმები PHP-ში მუშაობა ფორმებთან და ფორმის მონაცემებთან Php რექუესტ პარამეტრები ინფორმაცია PHP-ში დასამუშავებლად</p> <p>HTML ფორმებიდან მიღებული სხვადასხვა ტიპის ფორმის ელემენტებიდან ინფორმაციის გაგზავნა და დამუშავება.</p>

4	ლექცია 4 (2 საათი)	შემაჯამებელი დავალება
5	ლექცია 5 (2 საათი)	<p>ფაილებთან მუშაობა ფაილში ჩანერა, ქონტენტის ნაკითხვა ფაილის ნაშლა და სხვა ადგილას გადატანა მუშაობა საქალაქდებთან.</p> <p>ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება 01 ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება - შესავალი</p>
6	ლექცია 6 (2 საათი)	<p>ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება 02 ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების პრაქტიკული მაგალითები</p>
7	ლექცია 7 (2 საათი)	<p>მონაცემთა ბაზები და PHP მონაცემთა ბაზის საფუძვლები mysql მონაცემთა ბაზის აღწერა CRUD ოპერაციები მონაცემთა ბაზასთან მუშაობა PHP-ის საშუალებით (PDO)</p>
8	ლექცია 8 (2 საათი)	შემაჯამებელი დავალება
9	ლექცია 9 (2 საათი)	<p>Composer - Dependency management for PHP ბიბლიოთეკების დაყენება და მართვა composer-ის საშუალებით.</p> <p>Laravel Framework 01 MVC არქიტექტურის მიმოხილვა Laravel-ის მაგალითზე. Laravel აპლიკაციის გამართვა.</p>
10	ლექცია 10 (2 საათი)	<p>Laravel Framework 02 გვერდების დაყოფა (Basic Routing and Views) Pass Request data to views Routing to Controllers</p>
11	ლექცია 11 (2 საათი)	<p>Laravel Framework 03 ბაზასთან დაკავშირება Migrations მონაცემთა ბაზიდან მონაცემების მართვა. Eloquent. Basic Eloquent Relationships.</p>
12	ლექცია 12 (2 საათი)	შემაჯამებელი დავალება
13	ლექცია	Laravel Framework 04

	13 (2 საათი)	Layout pages Views form მონაცემების მიღება ფორმიდან და დამუშავება
14	ლექცია 14 (2 საათი)	Laravel Framework 05 Validations Authentication სესიები და cookie-ბი მუშაობა cookie-ბთან და სესიებთან
15	ლექცია 15 (2 საათი)	Laravel Framework 06 სიახლეების ტიპის საიტის გაკეთება. პროექტის ატვირთვა სერვერზე. სერვერზე ატვირთვა.
16	ლექცია 16 (2საათი)	შემაჯამებელი დავალება (მინი ვებ საიტი ლარაველზე)